ეთიკის კომისიის
რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

მეოთხე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:
კოლეგიის თავმჯდომარე: ოთარ კაჭკაჭაშვილი
კოლეგიის წევრი: ინგა ბერიძე
კოლეგიის წევრი: ანა ხურციძე

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 29.09.2022
შეკითხვის ავტორი: ---
შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 015/22

I შეკითხვა:

არასრულწლოვანთა საქმეების განხილვისას სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო იურიდიული დახმარების სამსახურს ავალებს მათი უფლებების დაცვას. თუ ასეთ პროცესში ერთვება არასრულწლოვნის კერძო ადვოკატი, ბავშვის უფლებათა კოდექსის 73-ე მუხლი ითვალისწინებს სახაზინო ადვოკატის აცილების საკითხს და საქმეში ტოვებს კერძო ადვოკატს. ცალკეულ შემთხვევებში სასამართლო არასრულწლოვანთა საქმეების განხილვისას პროცესში ტოვებს როგორც კერძო, ასევე სახელმწიფოს ხარჯზე მოწვეულ ადვოკატის. გთხოვთ მიპასუხოთ, ხომ არ დაირღვევა საადვოკატო საქმიანობის პრინციპები და ეთიკის ნორმები იმ შემთხვევაში თუ არასრულწლოვანთან დაკავშირებულ დავებზე სასამართლოს მიერ დანიშნული ადვოკატის და კერძო ადვოკატის პოზიცია ეწინააღმდეგება ერთმანეთს და სხვადასხვა გვარად განმარტავენ რა არის ბავშვის საუკეთესო ინტერესი? რა უნდა განახორციელონ ადვოკატებმა თუ მათ ხედვა განსხვავებულია?

II ანალიზი:

კოლეგია მიიჩნევს, რომ შეკითხვა განსახილველია კლიენტის ინტერესის პრიორიტეტულობისა და კვალიფიციურად მომსახურების მარეგულირებელი ნორმების გათვალისწინებით:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლი: *„ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენოს ისინი პირადი და სხვა პირების*

ინტერესებზე მაღლა. თუმცა კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატის მოქმედებები უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს"

,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტი: *,,ადვოკატი ვალდებულია არ განახორციელოს ისეთი ქმედება და არ დაამყაროს ისეთი ურთიერთობა, რომელიც საფრთხეს შეუქმნის კლიენტის ინტერესებს, ადვოკატის პროფესიულ საქმიანობას ან დამოუკიდებლობას."*

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი: *,,ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა."*

,,ადვოკატი ვალდებულია კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის მოქმედი კანონმდებობით, პროფესიული ეთიკის ნორმებით, რაც თავის მხრივ იმას ნიშნავს, რომ ადვოკატმა, კლიენტის ინტერესების დასაცავად უნდა იმოქმედოს მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში და უნდა გამოიყენოს კანონით დადგენილი და გათვალისწინებული ყველა საშუალება, რომელიც საჭიროდ და აუცილებლად მიაჩნია კლიენტის ინტერესების დასაცავად. ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ადვოკატის ნებისმიერი ქცევა, მის მიერ განხორციელებული ნებისმიერი ქმედება თუ უმოქმედობა განხილულ უნდა იქნას მისი კლიენტის ინტერესების დაცვის პრიორიტეტულობის გათვალისწინებით. ადვოკატის ქმედების შეფასებისას მნიშვნელოვანია დადგინდეს ადვოკატის მიერ განხორციელებული მოქმედება საჭირო და აუცილებელი იყო თუ არა კლიენტის ინტერესის დასაცავად" (ეთიკის კომისიის 2016 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №084/15, აბზაცები 5.3, 5.4).

საქართველოს კანონის ,,ბავშვის უფლებათა კოდექსი"-ს 79-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ბავშვს უფლება აქვს, მიიღოს თანამიმდევრული და კვალიფიციური იურიდიული კონსულტაცია ან/და იურიდიული დახმარება სახელმწიფოს ხარჯზე. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი – იურიდიული დახმარების სამსახური უზრუნველყოფს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ბავშვისთვის ან/და მშობლისთვის ან ბავშვის აღზრდისთვის პასუხისმგებელი სხვა პირისთვის უფასო იურიდიული კონსულტაციის ან/და იურიდიული დახმარების გაწევას ბავშვის უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებზე." ,,ბავშვის უფლებათა კოდექსი"-ს 74-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით ბავშვს აქვს ადვოკატის მოწვევის უფლება, ხოლო მაშინ, როდესაც ბავშვს მოწვეული ადვოკატი არ ყავს, სახელმწიფო მისთვის უზრუნველყოფს უფასო იურიდიულ დახმარებას. აღნიშნული მუხლის ანალიზიდან დგინდება, რომ ბავშვის უფლებებთან დაკავშირებულ საქმეში იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატის ჩართვის მიზნას წარმოადგენს ბავშვისთვის სათანადო კვალიფიკაციის მქონე ადვოკატის მიერ მომსახურების გაწევა, მაშინ, როდესაც მას, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე, მოწვეული ადვოკატი არ ყავს. თუმცა ,,ბავშვის უფლებათა კოდექსი" და ,,იურიდიული დახმარების შესახებ" საქართველოს კანონი არ ითვალისწინებს იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატის საქმიდან ჩამოცილების აუცილებლობას, როდესაც საქმეში ერთვება ბავშვის მიერ მოწვეული ადვოკატი. სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, მსგავს შემთხვევაში შესაძლოა ბავშვის ინტერესის დაცვა, იურიდიული

დახმარების სამსახურის ადვოკატმა და ბავშვის მიერ მოწვეულმა ადვოკატმა ერთდროულად განაგრძონ.

იმ შემთხვევაში თუ არასრულწლოვანთან დაკავშირებულ დავებზე საზოგადოებრივი ადვოკატის და კერძო ადვოკატის პოზიცია განსხვავდება ბავშვის საუკეთესო ინტერესის განსაზღვრაზე, თავდაპირველად მნიშვნელოვანია, ბავშვის, როგორც კლიენტის მოსაზრება აღნიშნულ საკითხზე, თუკი მისი გონებრივი შესაძლებლობები იძლევა ნების გამოვლენის საშუალებას. ბავშვის ნება მნიშვნელოვანი ფაქტორია მისი ადვოკატირებისთვის, „სახელმწიფომ უზრუნველყოს ბავშვის მიერ, მასთან დაკავშირებულ საკითხებზე, მოსაზრებების თავისუფლად გამოხატვის უფლება, როდესაც ბავშვს შეუძლია ჩამოაყალიბოს საკუთარი მოსაზრებები, რომლებსაც უნდა მიენიჭოს სათანადო მნიშვნელობა ბავშვის ასაკისა და განვითარების შესაბამისად. ბავშვს უნდა მოუსმინონ მასთან დაკავშირებულ ნებისმიერ სასამართლო და ადმინისტრაციულ პროცესში, პირდაპირ ან წარმომადგენლის ან შესაბამისი დაწესებულების მეშვეობით, ეროვნული საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით“ (ბავშვის უფლებათა კონვენცია, მუხლი 12; „ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულება“ - გაეროს ბავშვთა ფონდი გვ.19). ბავშვმა შეიძლება გამოხატოს ნება მის საუკეთესო ინტერესის განსაზღვრაზე, თუკი მისი ასაკი და გონებრივი შესაძლებლობები იძლევა ამის საშუალებას და მისი ნება უმინიშვნელოვანეს როლს თამაშობს აღნიშნულ პროცესში. ამასთანავე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 81[1] მუხლის თანახმად, ,,არასრულწლოვან მოსარჩელეს უფლება აქვს, არ დაეთანხმოს თავის საპროცესო წარმომადგენელს და თვითონ დაიცვას თავი.“

ბავშვის ადვოკატებს შესაძლოა ჰქონდეთ ერთმანეთისგან განსხვავებული ხედვა ბავშვის საუკეთესო ინტერესებზე. კლიენტის საუკეთესო ინტერესების დასაცავად ადვოკატებმა სასურველია საქმეზე მუშაობის პროცესში შეაჯერონ პოზიციები, მათ შორის თუ რა არის ბავშვის საუკეთესო ინტერესები, კლიენტისათვის ზიანის მიყენების გამორიცხვის მიზნით. თუკი ადვოკატები ვერ მოახერხებენ საერთო პოზიციაზე შეჯერებას, კლიენტის ინტერესის სათანადოდ დაცვისათვის, საზოგადოებრივი ადვოკატი და შეთანხმების საფუძველზე მოწვეული ადვოკატი საკუთარი ხედვებისა და სტრატეგიის ფარგლებში აგრძელებენ კლიენტის წარმომადგენლობას. ბავშვის წარმომადგენლობის პროცესი თავისებურია სრულწლოვანი კლიენტის სამართლებრივი მომსახურებისგან იმ ნიშნით, რომ პროფესიული ეთიკის სტანდარტებით, კლიენტი იღებს საქმისწარმოების არსებით გადაწყვეტილებებს, მათ შორის ირჩევს სტრატეგიას, რაც მისი ინტერესების დამცველ ადვოკატებს უქმნის ვალდებულებას რომ შეჯერებული პოზიციით წარმოადგინონ მხარე. ბავშვის ინტერესების წარმომადგენლობის პროცესის თავისებურება სწორედ იმაშია, რომ ადვოკატებს მათი პროფესიული კომპეტენციის ფარგლებში ბავშვის ნების გათვალისწინებით მეტი ავტონომიურობა ენიჭებათ განსაზღვრონ თუ რა შეიძლება იყოს ბავშვის საუკეთესო ინტერესი, მოამზადონ და წარმოადგინონ სტრატეგია. თუ ამ პროცესში, სასამართლოს მიერ დანიშნული ადვოკატის და კერძო ადვოკატის პოზიცია ეწინააღმდეგება ერთმანეთს და სხვადასხვაგვარად განმარტავენ რა არის ბავშვის საუკეთესო ინტერსი, ადვოკატთა ქცევა მხოლოდ ამ გარემოების გამო არ არღვევს პროფესიული ეთიკის სტანდარტებს, ვინაიდან შესაძლოა სხვადასხვა ხედვები არსებობდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესებზე, რაც სასამართლოს საკითხის სრულად გამოკვლევის შესაძლებლობას მისცემს. სხვადასხვა საფუძვლით მოწვეული ბავშვის ადვოკატების საქმიანობა,

რომელთაც განსხვავებული ხედვები აქვთ ბავშვის საუკეთესო ინტერესზე, დაცულია პროფესიული ეთიკით იმ პირობით, რომ ისინი საადვოკატო კვალიფიციურობის ფარგლებში მოქმედებენ გულისხმიერად, კეთილსინდისიერად და საქმიანობენ მათი ხედვით არჩეული პოზიციით.

III დასკვნა:

არასრულწლოვნის ინტერესების დაცვის პროცესში სასამართლოს მიერ დანიშნული ადვოკატის და კერძო ადვოკატის მიერ განსხვავებული პოზიციების ქონა არ არღვევს პროფესიული ეთიკის სტანდარტებს, რადგან შესაძლებელია ბავშვის საუკეთესო ინტერესი განსხვავებულად შეფასდეს ბავშვის სხვადასხვა ადვოკატის მხრიდან. უპირატესად აღნიშნულზე უნდა დადგინდეს თავად ბავშვის ნება, თუკი მისი ასაკი და გონებრივი შესაძლებლობებები იძლევა ნების გამოხატვის შესაძლებლობას. ადვოკატებმა სასურველია ყველა შესაძლებლობა გამოიყენონ პოზიციების შეჯერებისთვის, თუკი ეს ვერ მოახერხეს, ისინი საკუთარი პოზიციით გაგრძელებენ კლიენტის წარმომადგენლობას, რაც დაცულია პროფესიული ეთიკით.

შენიშვნა: ეთიკის კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაცია არის მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათის მოსაზრება და არ აქვს სავალდებულო ხასიათი.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ოთარ კაჭკაჭაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ინგა ბერიძე/

კოლეგიის წევრი: /ანა ხურციძე/